საგარეჯოს

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის

მოკლე გზამკვლევი

სარჩევი:

რას მოიცავს 2023 წლის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში? 3

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 4

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები 5

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება 9

2023 წელს სოციალური დახმარების მიმართულებით გახარჯული ფინანსური სახსრები 11

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი იურიდიული პირების 2023 წლის ბიუჯეტების შესრულების მაჩვენებლები 14

რას მოიცავს 2023 წლის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში?

საბიუჯეტო პროცესი საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია. საბიუჯეტო პროცესი არის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგების პროცესის კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ყოველი კვარტალის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში ამზადებს და საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, ხოლო საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს წარედგინება გასული წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
ბ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემოსულობებისა და გადასახდელების ფაქტიური შესრულების შედარებას წლიურ გეგმურ მაჩვენებლებთან;
გ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისათვის და წლის დასასრულისათვის;
დ) პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და ფაქტობრივ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ეს სხვაობა აღემატება 30%-ს;

ე) ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის შესახებ;
ვ) პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგს;
ზ) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპ-ების და შ.პ.ს.-ების ბიუჯეტის შესრულების წლიური მაჩვენებლებს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის **შემოსულობების** (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 43800.3 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 47157.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 108 %.





ათას ლარში

კოდი	დასახელება	2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი	2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი	2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულება	დამტკიც. ბიუჯეტის შესრულების %	დაზუსტ.ბიუჯეტის შესრულების %
	შემოსულობები	26827.9	43800.3	47157.4	176	108
1	**შემოსავლები**	26723.9	36433.130	39317.3	147	108
31	**არაფინანსური აქტივების კლება**	104.0	7367.2	7840.1	7539	106
1	**შემოსავლები**	26723.9	36433.1	39317.3	147	108
1.1	**გადასახადები**	24054.9	24380.8	25734.4	107	106
1.1.3.1.1.	**ქონების გადასახადი**	4750.0	4750.0	6133.4	129	129
1.1.4.1.1.1	**დამატებითი ღირებულების გადასახადი**	19304.9	19630.8	19601.0	102	100
1.3	**გრანტები**	405.0	9788.3	9575.3	2364	98
1.4	**სხვა შემოსავლები**	2264.0	2264.0	4007.7	177	177

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

2023 წლის განმავლობაში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილება შეტანილი იქნა ექვსჯერ. 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებები დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 38 547,7 ათასი ლარით და განისაზღვრა 65 375,.6 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 49 337,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 75 %-ია.



მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი გადსახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ასეთია:

ათას ლარში

ასიგნებების ფუნქც. კლასიფიკაც. კოდი	დასახელება	2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული წლიური ბიუჯეტი	საკასო შესრულება	დამტკიცებული გეგმის შესრულების %	დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების %
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	6136.4	6234.2	5749.6	94	92
702	თავდაცვა	236.2	236.2	227.3	96	96
704	**ეკონომიკური საქმიანობა**	3246.0	17144.8	11046.2	340	64
705	გარემოს დაცვა	2777.1	6317.6	4302.3	155	68
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	4791.7	16939.0	13330.2	278	79
707	ჯანმრთელობის დაცვა	275.0	1425.0	488.9	178	34
708	დასვენება,კულტურა და რელიგია	3503.4	7953.8	6531.8	186	82
709	განათლება	3960.5	7152.2	5818.2	147	81

710	სოციალური დაცვა	1901.6	1972.9	1843.4	97	93
	სულ	26827.9	65375.6	49337.5	184	75





საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების მაჩვენებლები ასეთია: შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია 4085,3 ათასი ლარი გეგმის 100 %; საქონელი და მომსახურების ხარჯმა შეადგინა 7053,8 ათასი ლარი გეგმის 7810,7 ათასი ლარის 90 %; პროცენტის ხარჯმა შეადგინა 19,5 ათასი ლარი გეგმის 100 %; სუბსიდიების ხარჯმა შეადგინა 10855,6 ათასი ლარი გეგმის 11299,7 ათასი ლარის 96 %; გრანტების 233,0 ათასი ლარი გეგმის 100 %; სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდა 1395,6 ათასი ლარით გეგმის 1511,5 ათასი ლარის 92 %; სხვა ხარჯებმა შეადგინა 4091,6 ათასი ლარი გეგმის 5659,7 ათასი ლარის 72 %; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსდა 21549,9 ათასი ლარით, გეგმის 34698,8 ათასი ლარის 62 %–ით; ვალდებულებების კლება 53,3 ათასი ლარით გეგმის 100 %.



მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

ასიგნებების შესრულება ბიუჯეტის პრიორიტეტების მიხედვით ასეთია:

ორგ. ოდი	პრიორიტეტების დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა			საკასო ხარჯი			შესრულების %			
			სულ	საბიუჯეტო	ტრანსფერი	სულ	საბიუჯეტო	ტრანსფერი	დამტკიცებული	სულ დაზუსტ.	საბიუჯეტო	ტრანსფერი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6372.6	6470.4	6470.4	0.0	5976.8	5976.8	0.0	94	92	92	0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8037.7	34083.7	24527.3	9556.4	24376.4	16111.2	8265.2	303	72	66	86
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2777.1	6317.6	5673.2	644.4	4302.3	3880.6	421.7	155	68	68	65

04 00	განათლება	3960.5	7152.1	6351.8	800.3	5818.2	5175.6	642.6	147	81	81	80
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	3503.4	7953.8	7512.2	441.6	6531.4	6114.9	416.5	186	82	81	94
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2176.6	3397.9	3397.9	0.0	2332.4	2332.4	0.0	107	69	69	0
	სულ	26827.9	65375.5	53932.8	11442.7	49337.5	39591.5	9746.0	184	75	73	85

2023 წელს სოციალური დახმარების მიმართულებით გახარჯული ფინანსური სახსრები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2023 წლის პროგრამა დაფინანსდა 1843,4 ათასი ლარით, მათ შორის:

1) პირველ და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამიდან დაფინანსდა 25 ოჯახი სულ 10,1 ათასი ლარით, მათ შორის 2 ოჯახი მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონეა და დახმარება გაეწია 450 ლარის ოდენობით, დანარჩენი 23 ოჯახი დაფინანსდა 400 ლარის ოდენობით;

2) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამიდან დაფინანსდა 154 ოჯახი სულ 67,8 ათასი ლარით, მათ შორის დახმარება გაეწიათ 8 შვილიან 2 ოჯახს 800 ლარით, 7 შვილიან 4 ოჯახს 700 ლარით, 6 შვილიან 7 ოჯახს 600 ლარით, 5 შვილიან 23 ოჯახს 500 ლარით, 4 შვილიან 118 ოჯახს 400 ლარით;

3) ბავშვთა კვების პროგრამით დაუფინანსდათ კვება ყოველთვიურად სიღარიბის ზღვარს მიღმა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ 70 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის ერთ წლამდე ასაკის 25 ბავშვს სულ 16,5 ათასი ლარის ოდენობით;

4) უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამიდან დახმარება გაეწია 34 ბავშვს სულ 12,3 ათასი ლარით, მათ შორის: 3 უდედმამო ბავშვს 100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად მთელი წლის განმავლობაში, დედით ან მამით ობოლ 20 ბავშვზე დახმარება გაიცა ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით;

5) შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამიდან დახმარება გაეწია 95 ბავშვს ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით სულ 53,5 ათასი ლარი;

6) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამიდან გაიხარჯა 65,6 ათასი ლარი, ფულადი დახმარება გაეწია 34 უსინათლო პირს 100 ლარის ოდენობით თვეში წლის განმავლობაში, დაფინანსდა 9 ბენეფიციარის სარეაბილიტაციო კურსი, 7 ბენეფიციარის და მათი თანმხლები პირებისთვის სანატორიულ-საკურორტო სასტუმროს მომსახურება, შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის და ბენეფიციართა ტრანსპორტით მომსახურების ხარჯები, აგრეთვე დაფინანსდა შშმ პირთა დასაქმების და საზოგადოებაში ინტეგრაციასთან და აუტიზმის სპექტრის დღესთან დაკავშირებით მიღებული სატრენინგო მომსახურებები;

7) მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამიდან გაიცა სულ 3,3 ათასი ლარი, დახმარება გაეწია ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით 11 მარტოხელა დედას;

8) რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამიდან 390 ლარით დაუფინანსდა მოხმარებული ბუნებრივი აირის და ელექტროენერგიის დავალიანების ხარჯი 2 ოჯახს;

9) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამიდან დაფინანსდა 870 ბენეფიციარის ხარჯები 432,0 ათასი ლარის ოდენობით;

11) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამიდან დაფინანსდა 741 ბენეფიციარის ხარჯები 229,9 ათასი ლარის ოდენობით;

12) ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამიდან დაფინანსდა 251 ბენეფიციარის ხარჯები 147,0 ათასი ლარის ოდენობით;

13) ბიკარბონატული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამით ისარგებლა ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე 46 ბენეფიციარმა, რომელთაც ტრანსპორტის ხარჯის თანადაფინანსება 130 ლარის ოდენობით ერიცხებოდათ ანგარიშზე ბანკში ყოველთვიურად მთელი წლის განმავლობაში, გაიხარჯა სულ 65,5 ათასი ლარი;

14) ელექტრო ენერგიის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამით 414 ბენეფიციარს დაუფინანსდათ ელექტროენერგიის ან გაზის ღირებულების ნაწილობრივი დაფარვა ყოველთვიურად, გაიხარჯა სულ 51,0 ათასი ლარი;

15) მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამიდან გაიცა დახმარება სოციალურად დაუცველ ოჯახებზე (100 001 მდე სარიტინგო ქულა) ერთჯერადად საშეშე მერქნის შესაძენი თანხა 50 ლარის ოდენობით, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ოჯახს 100 ლარის ოდენობით, სულ 88,4 ათასი ლარი 886 ბენეფიციარზე;

16) სოციალურად დაუცველი მოწყვლადი ჯგუფებისთვის საკვების გაცემა დღესასწაულებზე 129,5 ათასი ლარი, ეს არის სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების შეძენის ხარჯი, გადაეცათ ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით 250 ოჯახს, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 1200 ოჯახს, ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 1100 ოჯახს;

17) მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს სოფელი უდაბნოდან (კვირაში ორჯერ) ქალაქ საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ტრანსპორტირებას მთელი წლის განმავლობაში, აგრეთვე დახმარების პროგრამით გამიზნული აქტივობების ტრანსპორტირების განხორციელებას, გაიხარჯა 23,2 ათასი ლარი;

18) ხანდაზმულ (95 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამიდან გაიცა სულ 5,3 ათასი ლარი, დახმარება გაეწია 17 ხანდაზმულს ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით,

19) უპატრონო და სოც დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამის ხარჯმა შეადგინა 46,0 ათასი ლარი, დახმარება გაიცა უპატრონო მიცვალებულების, რომელთაც არ ჰყავთ არც ერთი რიგის მემკვიდრე, ლტოლვილის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებული შშმ პირთა და ხანდაზმულთა სათემო სახლში მცხოვრები მიუსაფარი პირების, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარდაცვლილი

არაიდენტიფიცირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახის გარდაცვლილი პირის დაკრძალვის სარიტუალო ხარჯებისთვისთვის 500 ლარის ოდენობით, სულ 52 ბენეფიციარზე, აგრეთვე 2023 წლის 20 იანვარს ქ. საგარეჯოში მომხდარი ტრაგედიის ღამეს ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული დაზიანებების შედეგად 4 გარდაცვლილი პირის ოჯახებზე გაიცა დახმარება თითოეულზე 5,0 ათასი ლარის ოდენობით;

20) სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა - გაიხარჯა 7,5 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი №19-ზე მდებარე საერთო საცხოვრებელი კორპუსის ეზოში არსებული საკანალიზაციო ჭების გაწმენდის სამუშაოების ანაზღაურებას;

21) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამით დაფინანსდა პროგრამით გათვალისწინებული 23 ბენეფიციარის ბინის ქირის ხარჯი თვეში 105, 27 ლარის ოდენობით, სულ 25,7 ათასი ლარი;

22) უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება 318,0 ათასი ლარი, ეს არის ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლის“ უფასო სასადილოების დაფინანსების ხარჯი, დახმარება გაიცემა ყოველდღიურად საკვების სახით სიღარიბის ზღვარს მიღმა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ 220 ბენეფიციარეზე;

23) ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა 5,0 ათასი ლარი, ფულადი დახმარება გაეწია სამშობლოს დაცვისათვის ომში მონაწილე აწ გარდაცვლილი 6 ვეტერანის ოჯახს, 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა 3 ოჯახს, აგრეთვე ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის 1 ვეტერანს;

24) წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამით გაიხარჯა 21,2 ათასი ლარი, დაფინანსდა წითელი ჯვრის საგარეჯოს ფილიალი, რომელიც ,,ინტეგრირებულ საქმიანობათა ცენტრის“ ბაზაზე აქტიურად ახორციელებს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულების, განსაკუთრებული საჭიროებებისა და იძულებით გადაადგილებული პირების სოციალურ მხარდაჭერასა და კატასტროფების რისკის შემცირების შესაძლებლობების გაზრდაზე, მათ შორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები აზერბაიჯანული თემის უნარიანობის ამაღლებაზე ორიენტირებულ საქმიანობებს. იგი ასევე მუშაობს ახალგაზრდების გაძლიერების და მოხალისეთა ინიციციატივების განვითარების მიმართულებით;

25) სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის დაფინასების პროგრამით დაფინანსდა 17 სტუდენტის უმაღლეს საგამანათლებლო სასწავლებელში სწავლის საფასურის თანადაფინანსება და გაიხარჯა 17,0 ათასი ლარი;

26) მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამა დაფინანსდა სულ 1,8 ათასი ლარით, ეს არის სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული 1 ოჯახის დახმარების ხარჯი თვეში 150 ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი იურიდიული პირების 2023 წლის ბიუჯეტების შესრულების მაჩვენებლები

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა		2023 წლის ხარჯი		შესრულების %	
		დაფინანსება ბიუჯეტიდან	საკუთარი შემოსავალი	დაფინანსება ბიუჯეტიდან	საკუთარი შემოსავალი	დაფინანსება ბიუჯეტიდან	საკუთარი შემოსავალი
02 01 01 02	შპს საგარეჯო	482.0	155.7	454.2	87.9	94	56
02 02 02	ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი	792.0	0.0	759.2	0.0	96	0
03 01 02	შპს სუფთა მუნიციპალიტეტი 2018	1985.7	0.0	1985.7	0.0	100	0
04 01	ა(ა)იპ - საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება	4420.1	0.0	4058.4	0.0	92	0
04 02 01	ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება	239.7	0.0	213.8	0.0	89	0
05 01 01 01	ა(ა)იპ - საგარეჯოს N105 კომპლექსური სასპორტო სკოლა	76.8	37.0	76.4	19.4	99	52
05 01 01 02	ა(ა)იპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება	908.5	52.8	908.5	23.0	100	44
05 01 01 03	ა(ა)იპ - რაგბის კლუბი ვეფხვები	473.2	270.1	473.2	262.3	100	97
05 01 01 04	შპს საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი	316.5	1678.3	316.5	1589.2	100	95
05 02 01 01	ა(ა)იპ ,,საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა"	251.7	18.8	251.6	18.2	100	97
05 02 01 02	ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება	993.3	32.1	993.3	18.5	100	58
05 04	შ.პ.ს.საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი „გარეჯის მაცნე“	53.7	7.1	53.7	4.4	100	62
06 01 01	ა.(ა).ი.პ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	178.9	14.8	165.7	13.2	93	89
06 02 05	ა.(ა).ი.პ. საგარეჯოს სათნოების სახლი	325.5	0.0	318.0	0.0	98	0
	სულ	11497.6	2266.7	11028.2	2036.1	96	90

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოკლე გზამკვლევი მომზადებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ.